ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №4251850

ნომერი: AR1637903

თარიღი : 16.10.2018

გაცემის თარიღი : 07.11.2018

გაცნობის თარიღი : 07.11.2018

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ხეივანი დავით აღმაშენებელი , მე-12 კმ ; ქალაქი თბილისი , ქუჩა ჯონ (მალხაზ) შალიკაშვილი , N 16 ; ქალაქი თბილისი , ქუჩა ჯონ (მალხაზ) შალიკაშვილი , N 14;

დამკვეთი-განმცხადებელი

- რომეო ესართია პ/ნ 19001025590
- ქალაქი თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, #3

ნომენკლატურა :

- I კლასი
- ლანდშაფტური მშენებლობა
  ახალი მშენებლობა

"მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების 65-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მერიის სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურში განხილულ იქნა თქვენი განცხადება თანდართულ დოკუმენტაციასთან ერთად, რომელიც ეხება ქ. თბილისში, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ,

ქალაქი თბილისი, ჯონ (მალხაზ) შალიკაშვილის ქუჩა #16; ქალაქი თბილისი, ჯონ (მალხაზ) შალიკაშვილის ქუჩა #14, შპს „ექლექტრონი“ს კუთვნილ მიწის ნაკვეთზე (ნაკვეთი N 01.72.14.013.841), ტერიტორიის კეთილმოწყობის მიზნით ღამის განათების ბოძების, გამწვანებული ზოლის და შლაგბაუმის მოწყობას.

პასუხად გაცნობებთ, რომ “მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ” საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების 65-ე მუხლში საქართველოს მთავრობის 2011 წლის 12 აგვისტოს #315 დადგენილებით შევიდა ცვლილება, რომლის თანახმადაც თქვენს მიერ განსახორციელებელი სამუშაოები თავისი მახასიათებლებით განეკუთვნება I კლასის ობიექტს, რომელსაც არ ესაჭიროება მშენებლობის ნებართვა და რომლის განთავსებაზეც სამსახური გასცემს წერილობით თანხმობას.

”მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ” საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების თანახმად სამსახურმა შეამოწმა წარმოდგენილი დოკუმენტაციის (ამონაწერი საჯარო რეესტრიდან N 892018903123 23/10/2018წ. საკადასტრო კოდი N 01.72.14.013.841; საპროექტო ფოტომონტაჟი) ქალაქთმშენებლობით დოკუმენტებთან შესაბამისობა და ადასტურებს ქ. თბილისში, თბილისში, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ, ქალაქი თბილისი, ჯონ (მალხაზ) შალიკაშვილის ქუჩა #16; ქალაქი თბილისი, ჯონ (მალხაზ) შალიკაშვილის ქუჩა #14, შპს „ექლექტრონი“ს კუთვნილ მიწის ნაკვეთზე (ნაკვეთი N 01.72.14.013.841), ტერიტორიის კეთილმოწყობის მიზნით ღამის განათების ბოძების, გამწვანებული ზოლის და შლაგბაუმის მოწყობის შესაძლებლობას.

- ზემოაღნიშნული სამუშაოების ჩატარებისას, დამკვეთი ვალდებულია დაიცვას კანონმდებლობით, მათ შორის, სამშენებლო რეგლამენტებით გათვალისწინებული მოთხოვნები და ნორმები.
- სამშენებლო დოკუმენტაციის სისწორეზე პასუხისმგებლობა ეკისრება დამკვეთს და დოკუმენტის შემსრულებელ პირს.
- აქვე განგიმარტავთ, რომ ამ წერილით დადასტურებული სამუშაოების დარღვევით წარმოება გამოიწვევს კანონდებლობით დადგენილ პასუხისმგებლობას.
- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.